



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 103

2013 წლის 11 ივლისი
ქალაქი ხაშური

ავტომანქანა (Volkswagen passat NTN -320) სათადარიგო ნაწილებისა და ტექნიკური მომსახურების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ

2013 წლის 25 ივნისს (სატენდერო განცხადება SPA130013861) და 1 ივლისს (სატენდერო განცხადება SPA130014300) გამოცხადებული იყო გამარტივებული ელექტრონული ტენდერები ავტომანქანის (Volkswagen passat NTN -320) სათადარიგო ნაწილების და ტექნიკური მომსახურების შესყიდვაზე, რომლებსაც 2013 წლის 28 ივნისს და 5 ივლისს მიენიჭათ სტატუსი „ტენდერი არ შედგა“. მუნიციპალიტეტის გამგეობის ავტომანქანის (Volkswagen passat NTN -320) სათადარიგო ნაწილების და ტექნიკური მომსახურების შესყიდვა კი აუცილებლობას წარმოადგენს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის გამგეობის შტატგარეშე მოსამსახურის პაატა ლომიძის 2013 წლის 9 ივლისის N2377 მოხსენებითი ბარათის და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის #52 დადგენილებით დამტკიცებული ხაშურის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის შესაბამისად:

1. განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგეობის კუთვნილი ავტომანქანა (Volkswagen passat NTN -320) -სათვის სათადარიგო ნაწილების და ტექნიკური მომსახურების გამარტივებული შესყიდვა.
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განხორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად.
3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე